



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
განათლების აკრედიტაციის  
ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 58

07 06 2010 წ.

ქ. თბილისი

**უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა  
მობილობის პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 5 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №222 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მობილობის ვაკანტური ადგილების ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 10 ივნისიდან 2010 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
2. მობილობის მსურველი პირების მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის გავლის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 1 ივლისიდან 2010 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

3. მობილობით წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 2 აგვისტოდან 2010 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით.
4. დაევალოს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის კანცელარიასა და საინფორმაციო და მობილობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება და ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე [www.nea.ge](http://www.nea.ge) განთავსება.
5. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ცენტრის დირექტორის მოადგილეს ნ. ჭილაძეს.

დირექტორი

e. 7



დავით კერესელიძე